

## მანიფესტი. „მსოფლიო. XXI საუკუნე“

მთელი კაცობრიობა ამყარებდა იმედებს XXI საუკუნეზე, როგორც გლობალური თანამშრომლობის ახალ ეპოქაზე. თუმცა დღეს, ეს შესაძლოა გახდეს მირაჟი. მსოფლიოს კვლავ ემუქრება საფრთხე და მისი მასშტაბები სათანადოდ უნა იქნას შეფასებული. და ეს საფრთხე - გლობალური ომია! მეცნიერების გამოთვლით, დედამიწის ცივილიზაციამ, 15 ათას ომზე მეტი გადაიტანა, ანუ 3 ომი ყოველ წელიწადზე, რამაც შედეგად ასობით მილიონი ადამიანი შეიწირა, მიწასთან სწორდებოდნენ ქვეყნები და ქალაქები, ნადგურდებოდნენ ცივილიზაციები და კულტურები.

XXI საუკუნეში შესვლასთან ერთად, ადამიანები აკეთებენ საოცარ სამეცნიერო აღმოჩენებს, ქმნიან ახალი თაობის ტექნოლოგიებს. კაცობრიობა შედის თავისი განვითარების თვისობრივად ახალ ფაზაში. მსოფლიო დგას მეოთხე სამრეწველო რევოლუციის ზღვარზე. წარმატებით იკურნება ბევრი საშინელი დაავადებები, მაგრამ ომის ვირუსი აგრძელებს საერთაშორისო სიტუაციის მოწამვლას, ამრავლებს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პოტენციალს, რომელიც გახდა რიგი ქვეყნების ეკონომიკის ყველაზე მძლავრი სექტორი,

ომის ვირუსი მზად არის ხელოვნური ინტელექტის გარშემო მომავალ აღმოჩენებებს გადაედოს. მილიტარიზმმა ღრმად შეაღწია ადამიანთა ქცევაში და ცნობიერებაში. ამჟამად მოსახლეობის ხელშია 1 მილიარდზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღის ერთეული, რომლისგანაც ყოველდღიურად მთელს მსოფლიოში ასობით და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე იღუპება. სრულიად შესაძლებელია, რომ სამხედრო საფრთხე მსოფლიოს მასშტაბით ტრაგიკულ რეალობად იქცეს. ამგვარი ფატალური დასასრულის ნიშნები სახეზეა. კონფლიქტური რისკები საერთაშორისო ურთიერთობებში გაძლიერდა. სამხედრო შეტაკებების გეოგრაფია შეეხო წინა ორი მსოფლიო ომის სამხედრო მოქმედებების ისტორიულ თეატრებს - ევროპის აღმოსავლეთს, აფრიკის ჩრდილოეთს და ახლო აღმოსავლეთს.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება თავის დანიშნულებას არ ასრულებს. მსოფლიოს უმსხვილესი სახელმწიფოების ორმაგი სტანდარტების გამო სასიკვდილო იარაღი და მისი დამზადების

ტექნოლოგიები მთელს მსოფლიოში გავრცელდა. მათი ტერორისტების ხელში მოხვედრა - დროის ფაქტორია.

საერთაშორისო ტერორიზმმა ავბედითი სახე მიიღო და ცალკეულ სახელმწიფოებში ერთეული ტერორისტული აქტები - მამტაბურ ტერორისტულ აგრესიაში გადაიზარდა, რაც მიმართულია ევროპული, აზიური და აფრიკული სახელმწიფოების წინააღმდეგ. შედეგად მივიღეთ მილიონობით დევნილი, დანგრეული ქალაქები, განადგურებული მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები და ეს ყველაფერი ჩვეულებრივ რეალობად მოგვევლინა. ასევე ყოველდღიურ მოვლენად იქცა ეკონომიკური სანქციები და სავაჭრო ომები.

დედამიწამ უკვე დაიწყო განახლებულ „ცივ ომისზე“ ბალანსირება, რაც კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანს მთელ კაცობრიობას. მშვიდობა ჯერ-ჯერობით წინა ოთხი ათწლეულის პოზიტიური ინერციის წყალობითაა შენარჩუნდებულია.

ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, XX საუკუნის მეორე ნახევარში, საგრძნობლად შემცირდა აშშ-ს და რუსეთის ბირთვული არსენალი. ხუთმა ბირთვულმა სახელმწიფომ განაცხადეს და ინარჩუნებენ მორატორიუმს ატომური იარაღის ცდებზე, რამაც პლანეტის განადგურების საფრთხე საგრძნობლად შეამცირა. დაჩქარდა რეგიონალური უსაფრთხოების სისტემების შექმნის პროცესი.

ურთიერთნდობის პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა ევრაზიულ-ატლანტიკური მეგა-სტრუქტურა - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მშვიდობის შესანარჩუნებლად, სახელმწიფოთა შეთანხმებული ქმედებების და გაერო-ს მრავალმხრივი ოპერაციების შედეგად რიგი კონფლიქტები და ომები იქნა დარეგულირებული. ახლა კი ჩვენ ყველა ამ მიღწევების ეროზიისა მოწმენი ვართ.

ამიტომ, მილიონობით ადამიანი უფრო შეშფოთებულია ასეთი საკითხებით. რა მიმართულებით განვითარდება სიტუაცია მსოფლიოში? ხომ არ გადაიზრდება წამყვან სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებები მათ ახალ გრძელვადიან კონფლიქტებში? რომელი სახელმწიფო შეიძლება გახდეს „პროქსი-ომების“ მომავალი მსხვერპლი, გაჩაღებული გლობალური და რეგიონალური სახელმწიფოების მიერ? ვის, ჯერ კიდევ აყვავებულ მიწას გადაუვლიან ტანკები და რომელ ქალაქებში დაიღუპებიან ბავშვები ჭურვების ცეცხლის ქვეშ? საიდან და საით იქნება მიმართული ლტოლვილთა ახალი ნაკადები?

60-ზე მეტი წლის წინ, გამოჩენილმა მეცნიერებმა ალბერტ აინშტაინმა და ბერტრან რასელმა გამოსცეს მანიფესტი, რომელშიც ჩამოაყალიბეს " მკაცრი, საშინელი და გარდაუვალისაკითხი: უნდა გავანადგუროთ თუ არა ადამიანთა მოდგმა, თუ კაცობრიობა იტყვის უარს ომებზე?"

XX საუკუნის კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეებმა უწინასწარმეტყველეს და გააფრთხილეს სამყარო, რომ მომავალ მსოფლიო ომში აუცილებლად იქნებოდა გამოყენებული ბირთვული იარაღი, რაც გაანადგურებდა ყოველივე სულიერს დედამიწაზე.

მათი გაფრთხილება, რომ სახელმწიფოებს შორის ყველა დავა საომარი მოქმედებებით ვერ და არ მოგვარდება უაღრესად აქტუალური რჩება XXI საუკუნეში.

საომარი მოქმედებების აღკვეთა - კაცობრიობის ყველაზე რთული ამოცანაა, მაგრამ მას არააქვს რაიმე სხვა გონივრული ალტერნატივა. ეს ამოცანა მსოფლიო ლიდერებმა პრიორიტეტულად უნდა განიხილონ, სხვა ნებისმიერი დღის წესრიგის გლობალური პრობლემების ფონზე.

XXI საუკუნეში კაცობრიობამ უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები თვითდემილიტარიზაციისკენ. სხვა ასეთი შანსი ჩვენ არ გვექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში პლანეტა, უზარმაზარ უკაცრიელ რადიოაქტიური მასალების ნაგავსაყრელად გადაიქცევა. ჩვენი პლანეტა არის უნიკალური. სხვა ასეთი პლანეტა არ გვაქვს და არც გვექნება.

ამიტომ კაცობრიობას სჭირდება ყოვლისმომცველი პროგრამა „**XXI საუკუნე: მსოფლიო ომის გარეშე**“.

ამ გლობალურმა სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს ხალხთა შეთანხმებული და საპასუხისმგებლო ქმედებები „ომის ვირუსის“ და კონფლიქტების გასანადგურებლად. ამ დოკუმენტში უნდა იყოს ნათლად მითითებული სამი ძირითადი პრინციპი.

პირველ რიგში, არცერთ თანამედროვე ომს გამარჯვებული არ და ვერ ეყოლება, ომში წააგებს ყველა.

მეორე, ახალ ომში გარდაუვალი იქნება მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება - ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური ან ნებისმიერი სახის სხვა, რომელიც შეიძლება გამოგონილი იყოს მეცნიერთა მიღწევებით. ეს გამოიწვევს კაცობრიობის განადგურებას. გამოძიება კი იმაზე, თუ ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი, იქნება დაგვიანებული. ეს პოტენციური რისკი აქსიომასავით

უნდა იქნას გააზრებული, როგორც ეხლანდელი, ასევე ნებისმიერი მომავალი თაობის ეროვნული ლიდერებისა და პოლიტიკოსების მიერ.

მესამე, სახელმწიფოებს შორის ყველა დავის მოგვარების საფუძველი უნდა გახდეს მშვიდობიანი დიალოგი და კონსტრუქციული მოლაპარაკებები, რომელიც დაფუძნებული იქნება მშვიდობის და უსაფრთხოების თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემაზე და საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე.

**პირველი:** ბირთვული და სხვა მასობრივი განადგურების იარაღისაგან სრულიად გათავისუფლებული თანმიმდევრული სვლა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. 2015 წლის 7 დეკემბერს, ყაზახეთის ინიციატივით, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საყოველთაო დეკლარაცია, ბირთვული იარაღისგან გათავისუფლებული სამყაროს აშენებაზე. 25 წლის წინ ყაზახეთმა, მსოფლიოში პირველმა, სამუდამოდ დახურა სემიპალატინსკის ბირთვული იარაღის საცდელი პოლიგონი. ეს გახლავთ მსოფლიოში პირველი და ამ დროისთვის ერთადერთი შემთხვევა. ახალგაზრდა სახელმწიფომ, ნებაყოფლობით განაცხადა უარი მსოფლიოში მეოთხე ბირთვული იარაღის პოტენციალის და საშუალებების მიწოდების ფლობისგან, რაც მემკვიდრეობით დაშლილი საბჭოთა კავშირისგან ხვდა წილად. ამ გადაწყვეტილებამ ბიძგი მისცა წამყვან ბირთვულ სახელმწიფოებს, რომ მარატორიუმი გამოეცხადებინათ ბირთვულ იარაღის საცდელ ქმედებებზე. 20 წლის წინ, გაერო-ს ფარგლებში, იქნა შემუშავებული და ხელმოსაწერად გამზადებული ხელშეკრულება ბირთვული ცდების აკრძალვის შესახებ, მაგრამ ის ძალაში არ შევიდა. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით, ყაზახეთის ტერიტორიაზე, შეიქმნა დაბალგამდიდრებული ბირთვული საწვავის ბანკი, რომელიც განკუთვნილია იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც გეგმავენ ატომური ენერჯეტიკის განვითარებას.

ბირთვული უსაფრთხოების გლობალურ სამიტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლა საჭიროა გლობალური გადაწყვეტილებების მიღება, რომ აიკრძალოს სასიკვდილო იარაღის განთავსება კოსმომურ სივრცეში, ზღვის ფსკერზე და მსოფლიო ოკეანეს ნეიტრალურ წყლებში, არქტიკაზე. მნიშვნელოვანია შემუშავდეს და მიღებულ იქნას შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტები, რითაც აიკრძალება სამეცნიერო აღმოჩენების გამოყენება, ახალი მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად. გაერო-ში

უნდა შეიქმნას სამეცნიერო აღმოჩენებების აღრიცხვის რეესტრი რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მასიური განადგურების იარაღის შექმნისა და სრულყოფისათვის.

**მეორე.** XXI საუკუნეში უნდა ჩამოვყალიბოთ მდგრადი მსოფლიოს „გეოგრაფია“, თანმიმდევრულად აღმოვფრქვათ საომარი ქმედებები. არსებობს მსოფლიოში ექვსი ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონა. ისინი მოიცავენ: ანტარქტიდას, თითქმის მთელ სამხრეთ ნახევარსფეროს, მათ შორის ლათინურ ამერიკას, აფრიკას, ავსტრალიასა და ოკეანეთს. მათ შორის ყველაზე „ახალგაზრდა“ არის ცენტრალური აზიის ბირთვული თავისუფალი ზონა, რომელიც რეგიონის ხუთი სახელმწიფოს მიერ სემიპალატინსკში 10 წლის წინ შეიქმნა. აუცილებელია საერთაშორისო ძალისხმევის გააქტიურება, რათა შეიქმნას ბირთვული თავისუფალი ზონა ახლო აღმოსავლეთში. 1992 წელს, ყაზახეთი გამოვიდა ინიციატივით მოეწვია აზიაში ურთიერთქმედებისა და ურთიერთნდობის ზომების კონფერენცია.

აღნიშნული ფორუმი, უკვე ამ ასწლეულში, წარმატებით იყო ინსტიტუციონალიზებული კონტინენტის 27 სახელმწიფოს, გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორანიზაციების მონაწილეობით. მრავალმხრივ თანამშრომლობას, დადებითი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთისათვის, შანხაის თანამშრომლობის ორანიზაციის ფარგლებში. მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ მშვიდობის ზონებს სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ ატლანტიკაში, ინდოეთის ოკეანეში. სპეციალური საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დაგროვილი გამოცდილება, უნდა გამოვიყენოთ მასშტაბური მსოფლიო არეალის შესაქმნელად, სადაც ომებს და კონფლიქტებს არ ექნებათ ადგილი. მსოფლიო არეალზე უსაფრთხოების საკითხები და განვითარება შესაძლებელია გარანტირებული იყოს გაერო-ს ყველა წევრი ქვეყნის, და ასევე გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ.

**მესამე.** XXI საუკუნეში უნდა გადავლახოთ ისეთი მილტარიზმის გადმონაშთი, როგორცაა სამხედრო ბლოკების არსებობა, რომლებიც ემუქრება გლობალურ უსაფრთხოებას და აბრკოლებს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას. გეოპოლიტიკური რეალობა არის ის, რომ თუ არსებობს მინიმუმ ერთი დიდი სამხედრო ერთეული, მაშინ გარდაუვალია იქნება მისი ანტიპოდის ჩამოყალიბება. ძალა შობს ანტიძალას. სამხედრო ბლოკებში შედის სხვადასხვა სახელმწიფო, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ვერ აცნობიერებენ

თავიანთ პასუხისმგებლობას მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. უფრო მეტიც, არის მცდელობები სამხედრო ბლოკების ქოლგების გამოყენების მესამე ქვეყნებთან უპირატესობის ურთიერთობისათვის უშუალო მეზობლების ჩათვლით. ასე, რომ დაპირისპირება შეიძლება განეორდეს განუსაზღვრელად როგორც ცალკეულ რეგიონებში, ასევე მთელს გლობალურ სივრცეში. ამასობაში, წარსული ომების და კონფლიქტების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოების შელახვის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, სამხედრო ბლოკებს უნდა დაუპირისპიროთ სახელმწიფოების გლობალური კოალიცია მშვიდობისათვის, სტაბილურობისთვის, ნდობისთვის და უსაფრთხოებისთვის გაერო-ს ეგიდით. უახლოესი 10 წლის განმავლობაში საერთო ამოცანად უნდა იქცეს კონფლიქტებისა და ომების შეწყვეტა ავღანეთში, ერაყში, იემენში, ლიბიასა და სირიაში, უკრაინის აღმოსავლეთით და პალესტინასა და ისრაელში. უნდა შემცირდეს სიტუაციების აფეთქებადი პოტენციალი კორეის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ-ჩინეთის ზღვის აკვატორიაში და არქტიკაში.

**მეოთხე.** მნიშვნელოვანია საერთაშორისო განიარაღების პროცესის ადაპტაცია ახალ ისტორიულ პირობებში. წინა შეთანხმებული შეზღუდვების, დაუცველობამ რაკეტაწინააღმდეგო სისტემებსა და ჩვეულებრივ შეიარაღებაზე ევრაზიის პოლიტიკური სივრცის მილიტარიზაცია გამოიწვია რაც აძლიერებს ახალი გლობალური ომის რისკს. განიარაღებისთვის საჭიროა გაერო-ს კონფერენციის ახალი სტრატეგია. მოსალოდნელია ჩვენ დაგვჭირდეს თავიდან ავირიდოთ ხარისხობრივად ახალი საფრთხე, როგორცაა: კიბერდანაშაული, რომელიც შეიძლება იქცეს საშიშ იარაღად ტერორისტების ხელში.

**მეხუთე.** სამყარო ომის გარეშე - ეს, უპიველესყოვლისა გლობალური კონკურენციის სამართლიანი პარადიგმაა, საერთაშორისო ფინანსების, ვაჭრობისა და განვითარების სფეროში. გაერო-ს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე ყაზახეთი გამოვიდა ინიციატივით შემუშავდეს გლობალური სტრატეგიული ინიციატივის გეგმა - 2045. ეს გეგმა მოიცავს ომებისა და კონფლიქტების ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია, ეს განვითარების ახალი ტენდენცია ავაწყოთ სამართლიანად ყველა ერისთვის, რათა თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის ინფრასტრუქტურა, რესურსები და ბაზრები. ამ იდეის გაცოცხლება დაგეგმილია გაეროს 100 წლის იუბილესთვის. ყაზახეთის სთავაზობს მოიწვიოს 2016 წელს გაერო-ს საერთაშორისო კონფერენცია უმაღლეს დონეზე. XXI საუკუნეში დამანგრეველი

ომების და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით კონფერენციაზე უნდა დამტკიცდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპები. მოწოდებები კეთილგონიერებისკენ და დიალოგისკენ, ზომიერებისკენ და საღი აზრისკენ არ უნდა გახდეს ინფორმაციული შეტაკებების მსხვერპლად გლობალური სამყაროს მოწინააღმდეგების მიერ.

XXI საუკუნეში მსოფლიოს სჭირდება მშვიდობა!

ეს არის მთავარი კითხვა!

მშვიდობა XXI საუკუნეში ღირს იმად, რომ იბრძოლო ისევე გონივრულად და დაჟინებით, როგორც ამას აკეთებდნენ ადამიანები გასულ საუკუნეში. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ჩვენი შვილების და შვილიშვილების მომავალზე. უნდა გავაერთიანოთ მთავრობების, პოლიტიკოსების, მეცნიერების, ბიზნესმენებისა და მსოფლიოს მილიონობით ადამიანის ძალისხმევა, რათა არ დავუშვათ წინა საუკუნეების ტრაგიკული შეცდომების გამეორება და სამუდამოდ გავათავისუფლოდ მსოფლიო ომის საშიშროებისგან. უმოქმედება ან სამშვიდობო საქმიანობის იმიტაციამ შესაძლოა მიგვიყვანოს მსოფლიო კატასტროფამდე.

ჩემი მანიფესტი „მსოფლიო. XXI საუკუნე“ არის ნაკარნახევი მომავალი თაობების ბედის შეშფოთებით, რომლებმაც უნდა იცხოვრონ და იმუშაონ XXI საუკუნეში. ჩვენზე, მსოფლიო ლიდერებსა და პოლიტიკოსებზე, კაცობრიობის მომავალის დიდი პასუხისმგებლობაა დაკისრებული. როგორც ადამიანი და პოლიტიკოსი, რომელმაც ცხივრებაში ბევრი სირთულე გამოიარა, როგორც პასუხისმგებელი პირი, რომელმაც მივიღე რთული გადაწყვეტილება სემიპალატინსკის ბირთვული პოლიგონის დახურვასთან დაკავშირებით, მე ზედმიწევნითი თხოვნით მივმართავ მსოფლიო ლიდერებს და მთელს საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა გონს მოეგონ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის რომ სამუდამოდ გავათავისუფლოთ კაცობრიობა ომის სასიკვდილო საფრთხისგან. ეხლაც და მომავალშიც ჩვენ უფრო აქტუალური ამოცანა არ გაგვაჩნია.

ქ.ვაშინგტონი, 2016 წლის 31 მარტი